

სახელმწიფო აუდიტის სამსახური



„ვ ა მ ტ კ ი ც ე ბ“

აუდიტის დეპარტამენტის უფროსის მ/შ

აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში

კახაბერ კირტავა

21. 12 2016 წელი

ეგზ. N1

შპს „ბათუმის ავტოტრანსპორტი“
შესაბამისობის აუდიტის ანგარიში N83/36

2014 წლის 1 იანვარი - 2015 წლის 31 დეკემბერი

ს ა რ ზ ე ვ ი

1. შემოკლებანი:.....	3
2. შემაჯამებელი მიმოხილვა	3
3. შესავალი.....	4
3.1. აუდიტის ობიექტის პასუხისმგებლობა	4
3.2. აუდიტორის პასუხისმგებლობა.....	4
3.3. აუდიტის მაშტაბი	4
3.4. აუდიტის ანგარიშის დანიშნულება	5
3.5. აუდიტის ანგარიშის ფორმა.....	5
3.6. აუდიტის შესწავლის საგნის აღწერა	5
4. ძირითადი ტექსტი	5
4.1 ავტონაწილებისა და სხვა ქიმიური ნივთიერებების შესყიდვა.....	5
4.2. თანამშრომელთა წახალისება.....	7
4.3. სახელმწიფო შესყიდვები	8
4.4. ავტოსატარადარიგო ნაწილების და ქიმიური ნივთიერებების ხარჯვა.	9
5. სხვა დარღვევა -ნაკლოვანებები.....	11
6. შემაჯამებელი დასკვნა	12
7. რეკომენდაცია	12

1. შემოკლებანი:

- ✓ შპს „ბათუმის ავტოტრანსპორტი“ - საზოგადოება;
- ✓ „საქართველოში ბუღალტრული აღრიცხვისა და ანგარიშგების შესახებ დებულება“- დებულება.

2. შემაჯამებელი მიმოხილვა

✓ ავტონაწილებისა და სხვა ქიმიური ნივთიერებების სატენდერო წინადადების შესაბამისად, მიწოდება და გადახდილი ფასის საბაზრო/სავაჭრო ფასთან შესაბამისობა წარმოდგენილი დოკუმენტებით ვერ დასტურდება. უნდა გაძლიერდეს შიდა კონტროლის მექანიზმები, რაც აღმოფხვრის სატენდერო წინადადების შეუსაბამოდ აქტივების მიწოდების და გადახდილი ფასის საბაზრო ფასთან შეუსაბამობის შესაძლო რისკს. გვ.6

✓ საზოგადოების მიერ 42 038 ლარის პრემიის გაცემა, შეუსაბამობაშია შინაგანაწესით განსაზღვრული წახალისების და დისციპლინარული პასუხისმგებლობის ზომების პირობებთან. უნდა შემუშავდეს შიდა კონტროლის მექანიზმები, რაც აღმოფხვრის შინაგანაწესით განსაზღვრული პირობების შეუსაბამოდ ფინანსური რესურსის ხარჯვას. გვ.7

✓ საზოგადოების მიერ 15 659 ლარის ღირებულების მომსახურების შესყიდვა, ნაცვლად გამარტივებული ელექტრონული ტენდერისა, განხორციელებულია გამარტივებული შესყიდვის საშუალებით. ანალოგიური დარღვევების შემდგომში დაუშვებლობის მიზნით, უნდა დაინერგოს შესაბამისი შიდა კონტროლის მექანიზმები, რაც ხელს შეუწყობს სახელმწიფო შესყიდვებისათვის განკუთვნილი ფულადი სახსრების რაციონალურ ხარჯვას. გვ.8

✓ ხელშეკრულებით გათვალისწინებული მიწოდების ვადის გასვლის შემდეგ, არგუმენტირებული მტკიცებულების გარეშეა შემცირებული მისაწოდებელი ნაწილების რაოდენობა და ღირებულება. ანალოგიური დარღვევების შემდგომში დაუშვებლობის მოტივით, უნდა გაძლიერდეს შიდა კონტროლის მექანიზმები, რაც აღმოფხვრის პრეტენდენტთა შესაძლო შეზღუდვისა და მიმწოდებელზე პირგასამტეხლოს დაკისრების თავიდან აცილების შესაძლო რისკს. გვ.9

✓ ავტონაწილების ხარჯვასთან დაკავშირებით, ავტოტრანსპორტის ტექნიკურად გამართულობის შესახებ დოკუმენტში, ავტონაწილების დამონტაჟების აქტებში და GPR მომსახურების ინფორმაციაში ასახული მონაცემების ურთიერთშესაბამისობა წარმოდგენილი დოკუმენტებით ვერ დასტურდება. უნდა გაძლიერდეს შიდა კონტროლის მექანიზმები და ავტოსათადარიგო ნაწილების ხარჯვა უნდა განხორციელდეს შესაბამისი მტკიცებულებების საფუძველზე. გვ.10

3. შესავალი

სახელმწიფო აუდიტის სამსახურმა ჩაატარა შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „ბათუმის ავტოტრანსპორტის“ მიერ 2014-2015 წლებში განხორციელებული საქმიანობის კანონმდებლობასთან და სხვა მარეგულირებელ ნორმებთან შესაბამისობის აუდიტი.

3.1. აუდიტის ობიექტის პასუხისმგებლობა

საზოგადოების ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია 2014-2015 წლებში განხორციელებული საქმიანობის შესაბამისობაზე არსებულ კრიტერიუმებთან. ხელმძღვანელობა ასევე პასუხისმგებელია სახელმწიფო აუდიტის სამსახურისთვის, აუდიტის მიზნებიდან გამომდინარე, მიწოდებული ინფორმაციის სისრულესა და სისწორეზე.

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა ასევე მოიცავს შიდა კონტროლის სისტემის შემუშავებას, დანერგვასა და შენარჩუნებას, რაც საჭიროა საფინანსო-ეკონომიკური საქმიანობის პროცესის იმდაგვარი წარმართვისათვის, რომელიც არ შეიცავს შეცდომით ან განზრახ არამართლზომიერი ქმედებით (თაღლითობით) გამოწვეულ არსებით კანონშეუსაბამობებს.

3.2. აუდიტორის პასუხისმგებლობა

აუდიტორი პასუხისმგებელია აუდიტის ანგარიშში ასახული ფაქტობრივი გარემოებების სისწორესა და მიზანშეწონილობაზე. აუდიტი წარიმართა უმაღლესი აუდიტორული ორგანოების საერთაშორისო სტანდარტის შესაბამისად (ISSAI 4100), რომელიც მოიცავს შესაბამისობის აუდიტის ჩატარებას განცალკევებით ფინანსური ანგარიშგების აუდიტისაგან.

აღნიშნული სტანდარტით მოითხოვება, აუდიტორის სამუშაო შეესაბამებოდეს ეთიკის ნორმებს და ითვალისწინებს აუდიტის იმგვარად დაგეგმვასა და ჩატარებას, რომ მოპოვებული იქნეს საკმარისი და შესაფერისი აუდიტორული მტკიცებულებები იმის შესახებ, რომ საზოგადოების 2014-2015 წლების საქმიანობა არ შეიცავს კრიტერიუმებთან არსებითი შეუსაბამობის ფაქტებს.

აუდიტორული პროცედურები წარიმართა აუდიტორის პროფესიულ მსჯელობაზე დაყრდნობით, რაც მოიცავს პროცედურების ჩატარებას იმ შეფასებულ მნიშვნელოვან კანონშეუსაბამობების რისკებზე, რომელიც გამოწვეულია თაღლითობით ან შეცდომით.

3.3. აუდიტის მასშტაბი

აუდიტის მასშტაბს წარმოადგენს საზოგადოების მიერ განხორციელებული საქმიანობა:

დასახელება	2014 წელი	2015 წელი
სულ შემოსავალი	9697622	9571372
საქალაქო მარშრუტები	3053370	2604702
დაკვეთები	40819	31136
ქალაქგარეთა მარშრუტები	133799	134058
სასაერთაშორისო მანქანები	8548	9297
სათადარიგო ნაწილების რეალიზაცია	16831	9447
ველოსიპედების გაქირავება	112491	86691
პროცენტი	22536	10617
ა/შ რემონტიდან	5152	4569
სუბსიდია	5745000	5650182
ჯარის რეალიზაცია	6017	0
დადებითი საკურსო სხვაობა	80	0
იჯარიდან მიღებული შემოსავალი	3701	9915

რეკლამა	122873	123449
ვეტერანთა გადაყვანა	324800	841061
სხვა შემოსავლები	5024	23458
უსასყიდლოდ და მეორადი აქტივების მიღება	49016	10857
პირგასამტეხლო	47565	7531
მეორადი მასალების რეალიზაცია	0	14402

ცხრილი N1. შემოსავლების შესახებ ინფორმაცია

3.4. აუდიტის ანგარიშის დანიშნულება

შესაბამისობის აუდიტის ანგარიშის დანიშნულებაა, აუდიტის ანგარიშის მომხმარებლებს მიაწოდოს ინფორმაცია ყველა იმ საკითხზე, რომელიც რისკების, შეუსაბამოებების ან/და ნაკლოვანებების სახით გამოვლენილი იქნა განსაზღვრული აუდიტის მასშტაბიდან.

3.5. აუდიტის ანგარიშის ფორმა

შესაბამისობის აუდიტის ანგარიში შედგენილია უმაღლესი აუდიტორული ორგანოების საერთაშორისო სტანდარტის (ISSAI 4100) მოთხოვნების მიხედვით - „ანგარიში ვრცელი ფორმით“. „ანგარიში ვრცელი ფორმით“ გულისხმობს აუდიტის შედეგებისა და გამოვლენილი გარემოებების უფრო დეტალურ განხილვას და რეკომენდაციების გაცემას, რაც ეხმარება აუდიტის ანგარიშის მომხმარებლებს საკითხების ყოველმხრივ გაგებასა და მასზე დაყრდნობით ინფორმირებული გადაწყვეტილებების მიღებაში.

3.6. აუდიტის შესწავლის საგნის აღწერა

შპს „ბათუმის ავტოტრანსპორტი“ არის კერძო სამართლის იურიდიული პირი. იგი ეწევა სამეწარმეო საქმიანობას ორგანიზაციულად და დამოუკიდებლად. მისი პარტნიორია ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერია. საზოგადოების საქმიანობის საგანია:

- დადგენილი ტარიფების¹ შესაბამისად, მგზავრთა გადაყვანა დადგენილი მარშრუტით;
- სატრანსპორტო საშუალებების შეკეთება/პროფილაქტიკის, მომსახურებისა და გასამართი სამუშაოების ჩატარება;
- საწვავ-საცხები მასალებით სატრანსპორტო საშუალებების უზრუნველყოფა და მომსახურება;
- ავტოსატრანსპორტო ნაწილებისა და მასალების შესყიდვა, როგორც საკუთარი მოხმარებისათვის, ასევე მისი კომერციული პირობებით რეალიზაციისათვის;
- სხვა სახის სამეურნეო და კომერციული საქმიანობა, რომელიც არ ეწინააღმდეგება საქართველოს კანონმდებლობას;
- საზოგადოებას საშუალოდ 2014 წელში განხორციელებული აქვს 10 285 711 მგზავრის გადაყვანა, 2015 წელში 10 388 169 მგზავრის გადაყვანა.

4. ძირითადი ტექსტი

4.1 ავტონაწილებისა და სხვა ქიმიური ნივთიერებების შესყიდვა

კრიტერიუმი: საქართველოს კანონის „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“, მე-2 მუხლის „ა“ პუნქტის შესაბამისად, სახელმწიფო შესყიდვების კანონის მიზანს წარმოადგენს სახელმწიფო

¹ თვითმმართველი ქალაქის - ბათუმის საკრებულოს დადგენილება N39. 15.07.2011წ.

შესყიდვებისთვის განკუთვნილი ფულადი სახსრების რაციონალური ხარჯვა. ავტომობილების სათადარიგო ნაწილების და სხვა ქიმიური ნივთიერებების შესყიდვის მიზნით, საზოგადოების მიერ გამოცხადებული ელექტრონული ტენდერის სატენდერო წინადადება ითვალისწინებს, რომ მიმწოდებელმა აქტივების მიწოდება² უნდა განახორციელოს სატენდერო წინადადებით გათვალისწინებული პარამეტრების შესაბამისად.

გამოვლენილი გარემოება: აუდიტის პერიოდში წარმოდგენილი დოკუმენტებით ირკვევა, რომ მიმწოდებლების მიერ, 6 შემთხვევაში 655 259 ლარის ღირებულების აქტივების მიწოდებაზე, სასაქონლო ზედნადებებში და მიღება-ჩაბარების აქტებში არ არის იდენტიფიცირებული სატენდერო წინადადებით გათვალისწინებული აქტივების ტექნიკური მახასიათებლები და პარამეტრები.

შესყიდვის საგანი	მიმწოდებელი	ხელშეკრულების N და დრო	ღირებულება	პარამეტრები	
				უნდა წარმოდგენილიყო სატენდერო წინადადებით	წარმოდგენილია სასაქონლო ზედნადებით
აკუმულატორი	შპს „გუდთაი“	N74 24.12.2015	48816	მჟავური, ამპერაჟი, სადენების ჭანჭიკური დამაგრება, ზომები, წარმოშობის ქვეყანა, მწარმოებელი ფირმა და მოდელი,	ამპერაჟი, მწარმოებელი ფირმა და მოდელი
ანტიფრიზი	შპს „ჯენტო ტრეიდინგი“	N301 04.12.2015	6929	კონცენტრატი, ფერი, ანტიკოროზიული, სიმკვრივე, წყლის შემცველობა, დუდილის ტემპერატურა, გაზავების მაჩვენებელი და ყინვაგამძლეობა.	მწარმოებელი ფირმა და მოდელი
სათადარიგო ნაწილები	შპს „კაცხი“	N190 30.07.2015	464813	საქონლის წარმოშობის ქვეყანა, მწარმოებელი ფირმა და მოდელი	არ არის მითითებული
აკუმულატორი	შპს „ენერჯი ბაზა N1“	N63 19.03.2014	19320	მჟავური, ამპერაჟი, სადენების ჭანჭიკური დამაგრება, ზომები, წარმოშობის ქვეყანა, მწარმოებელი ფირმა, მოდელი და მასა	ამპერაჟი
სათადარიგო ნაწილები	შპს „კაცხი“	N48 25.02.2015	50129	საქონლის წარმოშობის ქვეყანა, მწარმოებელი ფირმა და მოდელი	არ არის მითითებული
სათადარიგო ნაწილები	შპს „აისი 2005“	N78 31.03.2014	65252	საქონლის წარმოშობის ქვეყანა, მწარმოებელი ფირმა და მოდელი	არ არის მითითებული
ჯამი			655 259		

ცხრილი N2. აქტივების მიწოდების შესახებ ინფორმაცია

დასკვნა

ავტონაწილებისა და სხვა ქიმიური ნივთიერებების სატენდერო წინადადების შესაბამისად, მიწოდება და გადახდილი ფასის საბაზრო/სავაჭრო ფასთან შესაბამისობა წარმოდგენილი დოკუმენტებით ვერ დასტურდება.

² შემენილია 2014 წელში 863 507 ლარის და 2015 წელში 753 338 ლარის ღირებულების.

**რეკომენდაცია
საზოგადოებას:**

საზოგადოების ხელმძღვანელობამ, ავტონაწილებისა და სხვა ქიმიური ნივთიერებების შესყიდვასთან დაკავშირებით, გააძლიეროს შიდა კონტროლის მექანიზმები, რაც ხელს შეუწყობს სატენდერო წინადადების შესაბამისად აქტივების ფაქტობრივად მიწოდების იდენტიფიცირებას და აღმოფხვრის გადახდილი ფასის საბაზრო ფასთან შეუსაბამობის შესაძლო რისკს.

4.2. თანამშრომელთა წახალისება

კრიტერიუმი: საქართველოს შრომის კოდექსის მე-13 მუხლის მე-2 პუნქტის „ზ“ პუნქტის შესაბამისად, დამსაქმებლის მიერ შრომის შინაგანაწესით დგინდება თანამშრომელთა წახალისებისა და პასუხისმგებლობის სახე და გამოყენების წესი. საზოგადოების დირექტორის ბრძანებით³ დამტკიცებული შინაგანაწესის მე-8.1 მუხლის მიხედვით, თანამშრომელთა წარმატებული და კეთილსინდისიერად მუშაობის დროს შეიძლება გამოყენებული იქნეს წახალისება, მათ შორის პრემიის გაცემა, ხოლო 8.6 მუხლის მიხედვით, შინაგანაწესით დამტკიცებული ნორმების შეუსრულებლობის შემთხვევაში, დეგრა თანამშრომელთა დისციპლინარული პასუხისმგებლობის საკითხი.

გამოვლენილი გარემოება: საბუღალტრო ჩანაწერებით, საზოგადოებას პრემიის სახით თანამშრომლებზე 2014 წლის დეკემბრის თვეში გაცემული აქვს 355 205 ლარი, ხოლო 2015 წლის ნოემბრის და დეკემბრის თვეში 403 677 ლარი. წარმოდგენილი მტკიცებულებით ირკვევა, რომ 2014 წლის დეკემბრის თვეში 32 244 ლარი და 2015 წლის ნოემბერ-დეკემბრის თვეში 9794 ლარი, სულ 42 038 ლარი პრემია გაცემულია იმ თანამშრომლებზე⁴, რომლებზეც შინაგანაწესით გათვალისწინებული ნორმების დაუცველობის მოტივით, საზოგადოების დირექტორის მიერ გამოყენებულია დისციპლინარული პასუხისმგებლობის⁵ ზომები (შენიშვნა, საყვედური, სასტიკი საყვედური).

დასკვნა

საზოგადოების თანამშრომლებზე 42 038 ლარის პრემიის გაცემა, შეუსაბამოა შინაგანაწესით განსაზღვრული წახალისების და დისციპლინარული პასუხისმგებლობის ზომების პირობებთან.

**რეკომენდაცია
საზოგადოებას:**

საზოგადოების ხელმძღვანელობამ გააძლიეროს შიდა კონტროლის მექანიზმები, რაც აღმოფხვრის შინაგანაწესით განსაზღვრული პირობების შეუსაბამოდ ხარჯის გაწევას.

³ N170- 09.09.2013წ; N94-14.05.2015წ.

⁴ 2014 წელში 48 თანამშრომელი, 2015 წელში 13 თანამშრომელი.

⁵ დისციპლინარული პასუხისმგებლობის მოხსნასთან დაკავშირებით ბრძანება საბუღალტრო ჩანაწერებით არ არის რეგისტრირებული.

4.3. სახელმწიფო შესყიდვები

4.3.1.კრიტერიუმი: საქართველოს კანონის „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“, მე-2 მუხლის შესაბამისად, სახელმწიფო შესყიდვების კანონის მიზანს წარმოადგენს სახელმწიფო შესყიდვებისათვის განკუთვნილი ფულადი სახსრების რაციონალური ხარჯვის უზრუნველყოფა, ჯანსაღი კონკურენციის განვითარება, შესყიდვების მონაწილეთა მიმართ სამართლიანი და არადისკრიმინაციული მიდგომის და სახელმწიფო შესყიდვების საჯაროობის უზრუნველყოფა. ამავე კანონის მე-3 მუხლის „რ“ პუნქტის მიხედვით, გამარტივებული ელექტრონული ტენდერია 200 000 ლარამდე ღირებულების შესყიდვის ერთგვაროვანი სახელმწიფო შესყიდვა, ხოლო მე-9 მუხლის მე-3 ნაწილის მიხედვით, შემსყიდველი ორგანიზაციის მიერ, საბიუჯეტო (საფინანსო) წლის განმავლობაში ერთგვაროვანი საქონლის, მომსახურების ან სამუშაოს შესყიდვა განიხილება ერთ შესყიდვად, თუ ისინი ფინანსდება ერთი წყაროდან.

გამოვლენილი გარემოება: კონსოლიდირებული ტენდერის პირობებით შეძენილი საწვავის საზოგადოების ავტოგასამართ სადგურამდე ტრანსპორტირების მომსახურებისათვის, 2014 წელს საზოგადოების მიერ, გამარტივებული შესყიდვის საშუალებით 12 შემთხვევაში, განხორციელებულია 15 659 ლარის ღირებულების მომსახურების შესყიდვა⁶.

დასკვნა

საზოგადოების მიერ 15 659 ლარის ღირებულების მომსახურების შესყიდვა, ნაცვლად გამარტივებული ელექტრონული ტენდერისა, განხორციელებულია გამარტივებული შესყიდვის საშუალებით.

რეკომენდაცია

საზოგადოებას:

ანალოგიური დარღვევების შემდგომში დაუშვებლობის მიზნით, დაინერგოს შესაბამისი შიდა კონტროლის მექანიზმები და სახელმწიფო შესყიდვა განხორციელდეს „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მოთხოვნების შესაბამისად, რაც ხელს შეუწყობს სახელმწიფო შესყიდვებისათვის განკუთვნილი ფულადი სახსრების რაციონალურ ხარჯვას.

4.3.2.კრიტერიუმი: საზოგადოების მიერ, 2014 წლის 28 თებერვალს გამოცხადებული ელექტრონული ტენდერის (SPA 1400006216) სატენდერო წინადადებით, შესყიდულია 2004 წელს გამოშვებული, 20 ერთეული BOGDAN A092 მარკის ავტობუსის სათადარიგო ნაწილები, მიწოდებით. სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების⁷ მიხედვით, მიწოდების ვადაა ხელშეკრულების გაფორმებიდან სამი თვე, 2014 წლის 1 ივლისამდე პერიოდი.

⁶ საზოგადოების წერილობითი განმარტებით, გამარტივებული შესყიდვა განპაპირობა იმ გარემოებამ, რომ საწვავის მიმწოდებელთან დაკავშირებით ყოველთვიურად ეძლეოდათ რეკომენდაცია სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს მიერ და წინასწარ იმის დაგეგმვა თუ საიდან ექნებოდათ საწვავის მიღება მათთვის უცნობი იყო.

⁷ N78 -31.03.2014წ.

გამოვლენილი გარემოება: საზოგადოების საკუთრებაში არსებული 20 ერთეული BOGDAN A092 მარკის ავტობუსის სათადარიგო ნაწილების შესყიდვასთან დაკავშირებით გაფორმებული ხელშეკრულების 10.3 პუნქტის მიხედვით, მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადების დარღვევის შემთხვევაში, გათვალისწინებულია მიმწოდებელზე პირგასამტეხლოს⁸ დაკისრება. წარმოდგენილი მტკიცებულებებით ირკვევა, რომ ხელშეკრულების შემადგენელი მიწოდების გრაფიკით გათვალისწინებული ვადის გასვლის შემდეგ, 2014 წლის 24 ივლისს, მხარეებს შორის გაფორმებულია შეთანხმება, მისაწოდებელი ნაწილებიდან ამოღებულია 3 დასახელების 8 ერთეული⁹ ნაწილი და შემცირებულია სახელშეკრულებო ღირებულება 12 799 ლარით. შემცირების მოტივად კი მითითებულია¹⁰, რომ ორი ერთეული ავტობუსი ამორტიზირებულია და აღარ ექვემდებარება აღდგენას. უნდა აღინიშნოს, რომ შესყიდვის ეტაპზე სატენდერო წინადადებაში და შემდგომში ხელშეკრულებაში არ არის ასახული, თუ რა სახის ნაწილებია განპირობებული ცალკეულ სატრანსპორტო საშუალებაზე.

დასკვნა

ხელშეკრულებით გათვალისწინებული მიწოდების ვადის გასვლის შემდეგ პერიოდში, არგუმენტირებული მტკიცებულების გარეშე, შემცირებულია მისაწოდებელი ნაწილების რაოდენობა და სახელშეკრულებო ღირებულება.

რეკომენდაცია

საზოგადოებას:

საზოგადოების ხელმძღვანელობამ გააძლიეროს შიდა კონტროლის მექანიზმები და უზრუნველყოს, რომ მიმწოდებელთან გაფორმებული ხელშეკრულების პირობების შეცვლა განხორციელდეს არგუმენტირებული მტკიცებულების საფუძველზე, რაც აღმოფხვრის პრეტენდენტთა შესაძლო შეზღუდვისა და მიმწოდებელზე პირგასამტეხლოს დაკისრების თავიდან აცილების შესაძლო რისკს.

4.4. ავტოსათადარიგო ნაწილების და ქიმიური ნივთიერებების ხარჯვა.

4.4.1. კრიტერიუმი: საქართველოს პრეზიდენტის 1998 წლის 6 თებერვლის №70 ბრძანებულებით დამტკიცებული „საქართველოში ბუღალტრული აღრიცხვისა და ანგარიშგების შესახებ“ დებულების მე-2 თავის მე-7 მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად: ა) საბუღალტრო აღრიცხვის რეგისტრებში ჩანაწერის შეტანის საფუძველია პირველადი აღრიცხვის დოკუმენტები, რომლებიც აღნუსხავენ სამეურნეო ოპერაციის მოხდენის ფაქტს; ბ) პირველად საბუთებში უნდა აღინიშნოს დოკუმენტის (ფორმის) დასახელება, მისი შედგენის თარიღი, სამეურნეო ოპერაციის შინაარსი, განზომილება (რაოდენობრივ და ღირებულებით გამოსახულებაში), სამეურნეო ოპერაციაში მონაწილე მხარეთა დასახელება, ოპერაციის ჩატარებისა და სწორად გაფორმებისათვის პასუხისმგებელ პირთა ხელმოწერები, აგრეთვე სხვა მონაცემები, რომლებიც

⁸ ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე აქონლის ღირებულების 0,1%

⁹ მაღალი წნევის საწვავის ტუმბო 2 ცალი 11 996 ლარი, საბარგულის კარები 2 ცალი 399 ლარი და რადიატორის დიფუზორი 4 ცალი 404 ლარი.

¹⁰ სახელოსნოს მენეჯერის მუმან ხალვაშის მოხსენებითი ბარათი.

გამომდინარეობს ოპერაციის შინაარსიდან და მონაცემების ტექნოლოგიური დამუშავების თავისებურებიდან.

გამოვლენილი გარემოება: საზოგადოების ბალანსზე რიცხულ 163 ერთეულ სატრანსპორტო საშუალებაზე, მიმდინარე სარემონტო სამუშაოებთან დაკავშირებით, გახარჯულია 2014 წელს 863 507 ლარის და 2015 წელს 753 338 ლარის ავტოსათადარიგო ნაწილები და სხვა ქიმიური ნივთიერებები. ნაწილების ხარჯვა/ჩამოწერასთან დაკავშირებით შედგენილია „ავტოსათადარიგო ნაწილების და მასალების მოთხოვნა/დამონტაჟების აქტები“¹¹, რომელიც უნდა იყოს ავტორიზირებული ნაწილების გამცემის (საწყობი), მძღოლის და დამმონტაჟებელი ზეინკალის¹² მიერ. ყოველდღიური სარემონტო სამუშაოების საჭიროებისათვის, საზოგადოებაში შედგენილია შიდა მოხმარების აღრიცხვის დოკუმენტი „ტექნიკურად გამართულობის შესახებ“, სადაც აისახება ცალკეული ავტომანქანის სახელმწიფო ნომერი და ჩასატარებელი სარემონტო სამუშაოების სახეობა, რომელიც დადასტურებულია მძღოლის ხელმოწერით. წარმოდგენილი დოკუმენტების ანალიზით ირკვევა, რომ ნაწილებისა და მასალების მოთხოვნა - დამონტაჟების აქტებში, ხშირ შემთხვევაში სამუშაოს შემსრულებელი პირი ზეინკალი არ არის იდენტიფიცირებული¹³ და არც ხელმოწერით არის დადასტურებული ნაწილების დამონტაჟება, ხოლო ავტონაწილების დამონტაჟების აქტში ასახული დრო და გახარჯული ნაწილების დასახელება არ არის ასახული¹⁴ „ტექნიკურად გამართულობის შესახებ“, დოკუმენტში. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ 2014 წლის და 2015 წლის 1 დეკემბრამდე პერიოდში, GPR მომსახურების მონაცემები სატრანსპორტო საშუალებების სტატისტიკურ მონაცემებთან¹⁵ დაკავშირებით ვერ იქნა მოწოდებული.

დასკვნა

წარმოდგენილი დოკუმენტებით ვერ დასტურდება GPR მომსახურების, დამონტაჟების აქტებში და ტექნიკურად გამართულობის შესახებ დოკუმენტში ასახული მონაცემების ურთიერთშესაბამისობა.

რეკომენდაცია

საზოგადოებას:

საზოგადოების ხელმძღვანელობამ, გონივრულ ვადაში შეიმუშაოს შესაბამისი შიდა კონტროლის მექანიზმები, უზრუნველყოს ავტოსათადარიგო ნაწილების ხარჯვასთან დაკავშირებით მტკიცებულებების სრულყოფილად იდენტიფიცირება და პირველად საბუღალტრო დოკუმენტებში ასახული მონაცემების რეალობის ურთიერთშესაბამისობა, რაც

¹¹ აქტში აისახება აქტის შედგენის დრო, ავტომანქანის მარკა, სახელმწიფო ნომერი, მძღოლი, გახარჯული ნაწილების რაოდენობა და ღირებულება, ნაწილების გამცემი, მიმღები და დამმონტაჟებელი პირი.

¹² სამტატო განრიგით დასაქმებულია 32 ფიზიკური პირი-ზეინკალი.

¹³ შერჩევითი წესით შედარებულია 2015 წლის სექტემბერი, ნოემბერი და დეკემბერი, სადაც 686 შემთხვევაში, 98044 ლარის ღირებულების ნაწილების ხარჯვა არაა დადასტურებული.

¹⁴ შერჩევითი წესით 03.11.2015-9 შემთხვევა, 04.11.2015-10 შემთხვევა, 01.12.2015- 4 შემთხვევა, 02.12.2015- 11 შემთხვევა, 03.12.2015-15 შემთხვევა და სხვა.

¹⁵ გავლილი მანძილი, მოძრაობის დრო, ძრავის მდგომარეობის პარამეტრები, შესრულებული რეისები და სხვა.

აღმოფხვრის ავტოსათადარიგო ნაწილებისა და სხვა ქიმიური ნივთიერებების ურთიერთშეუსაბამო მტკიცებულებებით ხარჯვის რისკს.

5. სხვა დარღვევა -ნაკლოვანებები

5.1. კრიტერიუმი: საქართველოს პრეზიდენტის 1998 წლის 6 თებერვლის №70 ბრძანებულებით დამტკიცებული „საქართველოში ბუღალტრული აღრიცხვისა და ანგარიშგების შესახებ“ დებულების მე-9 მუხლის თანახმად, საწარმოს, ორგანიზაციის ხელმძღვანელები ვალდებული არიან ბუღალტრული დოკუმენტები შეინახონ ექვსი წლის განმავლობაში.

გამოვლენილი გარემოება: საზოგადოებაზე ბალანსზე რიცხული 152 ერთეული სატრანსპორტო საშუალების GPR მომსახურებას ახორციელებს ტენდერში გამარჯვებული კომპანია შპს „I GRS ოპერატორი“. ხელშეკრულების სხვა პირობებთან ერთად, მომსახურება მოიცავს ტრანსპორტის სტატისტიკური მონაცემების (გავლილი მანძილი, მოძრაობის დრო, ძრავის მდგომარეობის პარამეტრები, შესრულებული რეისები და სხვა) შენახვას და ხელმისაწვდომობას. აუდიტის პერიოდში, საზოგადოების მიერ ვერ იქნა წარმოდგენილი GPR ინფორმაცია, 2014 წლის 1 იანვრიდან 2015 წლის 1 დეკემბრამდე პერიოდში, ავტოტრანსპორტის სტატისტიკური მონაცემების შესახებ¹⁶, რადგან სატენდერო წინადადება და ხელშეკრულება ითვალისწინებდა აღნიშნული ინფორმაციის ხელმისაწვდომობას ერთი წლის განმავლობაში.

5.2 კრიტერიუმი: საქართველოს კანონის „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ მე-2 მუხლის შესაბამისად, სახელმწიფო შესყიდვების კანონის მიზანს წარმოადგენს სახელმწიფო შესყიდვებისათვის განკუთვნილი ფულადი სახსრების რაციონალური ხარჯვის უზრუნველყოფა, ჯანსაღი კონკურენციის განვითარება.

გამოვლენილი გარემოება: საზოგადოების მიერ, 2015 წლის 27 ნოემბერს გამოცხადებულია ელექტრონული ტენდერი ავტოსატრანსპორტო საშუალების შეძენასთან დაკავშირებით. შესყიდვაში მონაწილეობდა ერთი პრეტენდენტი ი/მ „გიორგი აბრამიშვილი“, რომელიც გამოვლინდა გამარჯვებულად. 2015 წლის 24 დეკემბერს სატენდერო კომისიის სხდომის ოქმით (N15-34-3) ეცნობა პრეტენდენტს, რომ წარმოედგინა დასკვნა სატრანსპორტო საშუალების ღირებულების შესახებ. აქვე აღნიშნულია, რომ ფასს შეიძლება დაემატოს ამ ტენდერთან დაკავშირებული ხარჯები. აღნიშნული მოთხოვნის საფუძველზე, მიმწოდებლის მიერ წარმოდგენილია ინდივიდუალური აუდიტორის დასკვნა (შედგენილია 24.12.2015წ), სადაც აღნიშნულია, რომ ავტომანქანის რეალური საბაზრო ღირებულება შეადგენს 15 800 ლარს. მხარეებს შორის 2015 წლის 4 იანვარს გაფორმებულია N1 ხელშეკრულება 16 500 ლარზე, რაც გადახდილია მიმწოდებელზე სრულად¹⁷.

¹⁶ საზოგადოების წერილი N01/04-736. 28.11.2016წ და შპს „I GRS ოპერატორის წერილი N77/28/74 29.11.2016წ.

¹⁷ ავტომანქანის საბაზრო ღირებულება გაზრდილია ისეთი ხარჯებით, როგორიცაა მანქანის ბათუმში ჩამოყვანის, მიმწოდებლის გადაადგილების, დოკუმენტაციის მომზადების და აუდიტის დასკვნის ხარჯები.

6. შემაჯამებელი დასკვნა

შპს „ბათუმის ავტოტრანსპორტის“ 2014-2015 წლის შესაბამისობის აუდიტის შედეგად გამოვლინდა სხვადასხვა სახის დარღვევა-ნაკლოვანებები.

6.1. სახელმწიფო შესყიდვების პროცესში:

✓ ავტონაწილებისა და სხვა ქიმიური ნივთიერებების სატენდერო წინადადების შესაბამისად, მიწოდება და გადახდილი ფასის საბაზრო/სავაჭრო ფასთან შესაბამისობა წარმოდგენილი დოკუმენტებით ვერ დასტურდება;

✓ საზოგადოების მიერ, 15 659 ლარის ღირებულების სატრანსპორტო მომსახურების შესყიდვა, ნაცვლად გამარტივებული ელექტრონული ტენდერისა, განხორციელებულია გამარტივებული შესყიდვის საშუალებით;

✓ საზოგადოების საკუთრებაში არსებული 20 ერთეული BOGDAN A092 მარკის ავტობუსისათვის გათვალისწინებული მისაწოდებელი სათადარიგო ნაწილების რაოდენობა და ღირებულება, ხელშეკრულებით გათვალისწინებული მიწოდების ვადის გასვლის შემდეგ პერიოდში, არგუმენტირებული მტკიცებულების გარეშეა შემცირებული;

✓ ავტონაწილების ხარჯვასთან დაკავშირებით, წარმოდგენილი დოკუმენტებით ვერ დასტურდება GPR მომსახურების, დამონტაჟების აქტებში და ტექნიკურად გამართულობის შესახებ დოკუმენტში ასახული მონაცემების ურთიერთშესაბამისობა.

6.2. საზოგადოების შინაგანაწესის და ხელშეკრულების პირობების შესრულების პროცესში:

✓ საზოგადოების თანამშრომლებზე 42 038 ლარის პრემია გაცემულია შინაგანაწესით განსაზღვრული წახალისების და დისციპლინარული პასუხისმგებლობის ზომების პირობების ურთიერთშეუსაბამოდ.

7. რეკომენდაცია

✓ საზოგადოების ხელმძღვანელობამ, ავტონაწილებისა და სხვა ქიმიური ნივთიერებების შესყიდვასთან დაკავშირებით, გააძლიეროს შიდა კონტროლის მექანიზმები, რაც ხელს შეუწყობს სატენდერო წინადადების შესაბამისად აქტივების ფაქტობრივად მიწოდების იდენტიფიცირებას და აღმოფხვრის გადახდილი ფასის საბაზრო ფასთან შეუსაბამობის შესაძლო რისკს;

✓ საზოგადოების ხელმძღვანელობამ გააძლიეროს შიდა კონტროლის მექანიზმები, რაც აღმოფხვრის შინაგანაწესით განსაზღვრული პირობების შეუსაბამოდ ფინანსური რესურსის ხარჯვის რისკს;

✓ ანალოგიური დარღვევების შემდგომში დაუშვებლობის მიზნით, დაინერგოს შესაბამისი შიდა კონტროლის მექანიზმები და სახელმწიფო შესყიდვა განხორციელდეს „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მოთხოვნების შესაბამისად, რაც აღმოფხვრის სახელმწიფო შესყიდვებისათვის განკუთვნილი ფულადი სახსრების რაციონალური ხარჯვის და ჯანსაღი კონკურენციის შეზღუდვის შესაძლო რისკს;

✓ საზოგადოების ხელმძღვანელობამ, გონივრულ ვადაში შეიმუშაოს შესაბამისი შიდა კონტროლის მექანიზმები, უზრუნველყოს ავტოსათადარიგო ნაწილების ხარჯვასთან დაკავშირებით მტკიცებულებების სრულყოფილად იდენტიფიცირება და პირველად საბუღალტრო დოკუმენტებში ასახული მონაცემების რეალობის ურთიერთშესაბამისობა, რაც აღმოფხვრის ავტოსათადარიგო ნაწილებისა და სხვა ქიმიური ნივთიერებების ურთიერთშეუსაბამო მტკიცებულებებით ხარჯვის რისკს;

✓ სახელმწიფო შესყიდვების განხორციელებასთან დაკავშირებით, საზოგადოების ხელმძღვანელობამ, გააძლიეროს შიდა კონტროლის მექანიზმები, რაც ხელს შეუწყობს ფულადი სახსრების რაციონალურ ხარჯვას და აღმოფხვრის შესყიდვაში მონაწილე პრეტენდენტთა მიმართ სამართლიანი და არადისკრიმინაციული მიდგომის შესაძლო რისკს.

აუდიტის ჯგუფის წევრები:

აუდიტის ჯგუფის ხელმძღვანელი:

ნადიმ ბოლქვაძე
/წამყვანი აუდიტორი/



ზვიად ვარშალომიძე
/აუდიტორი/



მიხეილ დიასამიძე
/აუდიტორ-ასისტენტი/



უჩა პაპუკაშვილი
/აუდიტორ-ასისტენტი/
21/12/2016წ.

